პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1974 წ.
№84 (5114) 28 აპრილი, კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლენინური კომკავშირის დიდი ფორუმი

გუშინწინ საკავშირო ალკკ XVII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. ყრილობის დელეგატები — ახალგაზრდა მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერები და სტუდენტები თავიანთ გამოსვლებში გამოთქვამდნენ მზადყოფნას პარტიის საქმისთვის, კომუნიზმის საქმისთვის. ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელშიც მოიწონა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა ლენინის ანდერძის სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდის, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის დარაზმვის საქმეში.

ყრილობამ ერთხმად მიიღო საკავშირო ალკკ XVII ყრილობის რეზოლუცია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

მიღებულია დადგენილება საკავშირო ალკკ წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებების შესახებ.

ყრილობამ აირჩია კომკავშირის ცენტრალური ორგანოები.

გუშინ საკავშირო ალკკ XVII ყრილობის დელეგატებმა ზეიმით აღნიშნეს კომკავშირისთვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავი.

უურადღების ცენტრშია ტურიზმი

ტურიზმის, როგორც შშრომელთა მასობრივი დასვენების საუკეთესო საშუალების ფართო პოპულარიზაციისა და პროპაგანდის მიზნით, ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურმა საბჭომ და ტურიზმის საკითხების გამშუქებელ ჟურნალისტთა სექციამ ჟურნალ „ტურისტთან", კინომოგზაურთა სატელევიზიო კლუბთან, ჟურნალ „სოვეტსკოე ფოტოსთან", სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირთან, „ნედელიას" რედაქციასთან და მოსკოვის საწარმო „ტურისტთან" ერთად გამოაცხადეს საკავშირო კონკურსი პრესაში, სამოყვარულო ფილმებში, ტელევიზიით და რადიოთი ტურიზმისა და ექსკურსიების საუკეთესოდ გაშუქებისთვის, აგრეთვე, საუკეთესო ტურისტული სიახლისთვის.

ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკური კონკურსი გამოაცხადა საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭომაც.

საუკეთესო ნარკვევისა და ფოტოსურათისთვის, მოკლემეტრაჟიანი კინოფილმისა და ტურიზმის სიახლისთვის დაწესებულია ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს I ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია 100 მანეთის ოდენობით;

მეორე ადგილისთვის — II ხარისხის დიპლომი და 50 მანეთი პრემია;

მესამე ადგილისთვის — III ხარისხის დიპლომი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს.

საკდესი მოგვითხრობს

ჩვენ ამბავი ★ ეკუჭეიკვეჭი

კოსმონავტის სახელობის პრიზებისთვის

დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის მფრინავ-კოსმონავტ გ. შონინის სახელობის პრიზებისთვის ოდესის ოლქის ნორჩ მოჭადრაკეთა და მოშაშეთა შეჯიბრების ფინალი კოსმოსის გმირის ბავშვობის ქალაქში — ბალტაში ჩატარდა.

საპატიო პრიზებისთვის საბრძოლველად შეიკრიბა 432 ნორჩი სპორტსმენი — რაიონულ და საქალაქო შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდების წევრები (თითო გუნდში სამი ბიჭი და ერთი გოგონა იყო), აგრეთვე, პირადი პირველობისთვის მებრძოლი უფროსკლასელი ჭაბუკები და ქალიშვილები.

ეს საინტერესო ტურნირები მეოთხე წელია ტარდება. ასპარეზობამ უნდა გამოავლინოს ნორჩი ტალანტები, აგრეთვე, მოსწავლეთა რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრებების „თეთრი ელტისა" და „შაში-სასწაულის" შომავალი მონაწილენი.

ჭადრაკი და შაში ბავშვებში სულ უფრო პოპულარული ხდება. თუ 1971 წელს კოსმონავტ გ. შონინის პრიზისთვის ბრძოლაში 26 ათასი მოსწავლე მონაწილეობდა, ახლა მოასპარეზეთა რიცხვმა 80 ათასს მიაღწია.

ვ. გორბაჩოვსკი.

ოდესა.

ყველაფერი ავტოსპორტისთვის

კაუნასის ავტო-მოტოკლუბის მეზობლად, რომელიც ასევე ამ ხუთწლედშია აგებული, აშენდა ლიტვის დოსაფის 400-ადგილიანი სასტუმრო „ვაირასი" („საჭე"). „ვაირასში" იცხოვრებენ ლიტვის დედაქალაქში საასპარეზოდ, აგრეთვე, ავტომანქანის მართვის შესასწავლად ჩამოსული სტუმრები.

სასტუმროსთან გახსნილია დიდი პარკინგი. იქვე გვერდით შენდება ავტოდრომი დაბრკოლებათა ზოლით.

კაუნასის მოტოსპორტულ კომპლექსში შევა, აგრეთვე, რეკონსტრუირებული ნემანის წრე ქალაქგარეთ მდებარე კურორტ კაჩერგინში. ექვსკილომეტრიან წრეზე, რომელიც მწყობრში ამ ზაფხულში ჩადგება, შეიძლება ჩატარდეს შეჯიბრებები როგორც ჩვეულებრივი, ისე სარბოლი ავტომანქანებით. აქვე მოეწყობა ტურნირები მოტო- და ველოსპორტში.

კაუნასი.

მინი-ფეხბურთი მანგიშლაკზე

შევჩენკოში კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზის გათამაშებით დამთავრდა მინი-ფეხბურთის სეზონი. ტურნირში მონაწილეობდა 14 გუნდი. I ადგილი დაიკავა „გორნიკმა". გუნდის საუკეთესო მოთამაშეთა შორის არიან: ზეინკლები ა. კლადოვი, ო. ოვანესოვი, ლ. ბროვკო, შოფრები ა. კოლობოვი და გ. პეტროსიანი. ხუთივე კომუნისტური შრომის დამკვრელია, ხუთივეს მიღებული აქვს „1973 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულისა" და მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნები.

მინი-ფეხბურთი ძალიან პოპულარულია მანგიშლაკის ნახევარკუნძულზე. ოფიციალური შეჯიბრებები ზამთრის დამდეგს იწყება და გაზაფხულის პირზე მთავრდება. ნახევარკუნძულზე მშრალი და ცხელი ზაფხული იცის. ამიტომ მინი-ფეხბურთი აქ „ზამთრის" სახეობად ითვლება. მინიფეხბურთელთა მატჩებისთვის სპეციალური მოედნებია მოწყობილი ქალაქის ცხრავე მიკრორაიონში, აგრეთვე, რამდენიმე სამაღალო სკოლაში. ამ თამაშს ათასობით გულშემატკივარი ჰყავს. ამას წინათ საოლქო ცენტრის ფიზკულტურელებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს: მწყობრში ჩადგა დიდი სპორტული დარბაზი.

მანგიშლაკის ნახევარკუნძულზე მინი-ფეხბურთს ათი წლის ისტორია აქვს. ათი წლისაა თვითონ ქალაქი შევჩენკოც. ფეხბურთის სექციები შექმნილია 88 ფიზკულტურულ კოლექტივში. ოლქის 3210 ფეხბურთელის განკარგულებაშია ორი სტადიონი და 70 მინდორი.

შევჩენკო.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

თეირანი, 26 აპრილი. (საკდესი). დამთავრდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ს. პავლოვის ვიზიტი ირანში.

ვიზიტის დროს ს. პავლოვი მიიღო ირანის შაჰმა. საბჭოთა სტუმარი შეხვდა პრემიერ-მინისტრ ა. ა. ხოვეიდას, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს. თეირანსა და შირაზში ს. პავლოვი გაეცნო სპორტული აღზრდის საკითხებს, დაათვალიერა სპორტული ნაგებობანი.

ირანის ოფიციალურ პირებთან საუბრის დროს განხილული იყო ორი ქვეყნის სპორტული ურთიერთობის საკითხები.

ვიზიტის დამთავრების შემდეგ ს. პავლოვმა და ირანის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა ერთიანული კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალმა ალი ხოჯათმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირისა და ირანის სპორტულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის პრინციპებზე.

ჩვენ ბაკეთი. ეკლესიერი ეკლი ... 19 45

◆ კოვენტრი (ინგლისი), 27 აპრილი. გუშინ აქ სტარტი აიღო მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებამ. პირველი დღის შემდეგ დაწინაურდნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებსაც გუნდურ ჩათვლაში 51 ქულა აქვთ. II ადგილზეა გფრ-ის ნაკრები (45 ქულა), III — შვედების კოლექტივი (41). შეჯიბრების სტარტზე სსრ კავშირის წარმომადგენლებმა რამდენიმე დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს. ვლადიმერ ბურემ ყველას აჯობა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 52,79 წამი. მარინა იურჩენკომ მოიგო 200 მ ბრასით — 2.44,71. ამ მანძილზე ვალუა შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდა ნ. პანკინს — 2.24,52.

რუსთავში, სპორტკლუბ „ფოლადის" დარბაზში, გაიმართა „გუნთიადის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური შეჯიბრება ბატუტზე ხტომაში.

გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს რუსთაველებმა (179,655 ქულა). II ადგილი აჭარის წარმომადგენლებს (144,990) ხვდათ, ხოლო III — აფხაზეთის სპორტსმენებს (109,180).

პირად ჩათვლაში ოსტატთა პროგრამით მოასპარეზე ქალთა შორის ჩემპიონი გახდა აჭარის წარმომადგენელი ლ. სტრელნიკოვა (11,9 ქულა). ვაჟებში გაიმარჯვა რუსთავის წარმომადგენელმა ვ. ბეიგერმა (12,55).

სინქრონულ ხტომაში გაიმარჯვეს ვ. ბეიგერმა და გ. ავალიანმა (რუსთავი).

• • •

სურათებზე: ლ. სტრელნიკოვა და ვ. ბეიგერი.

რ. გაბრიელიძის ტექსტი და ფოტოები.

დაასახელეს საუკეთესონი

კიდევ დაასწოლებით ორი მილიონი კაცი შეუერთდა ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას, 14 მილიონი ადამიანი მშდ კომპლექსის ნიშნოსანი გახდა, შეიქმნა 1500-ზე მეტი ახალი ფიზკულტურული კოლექტივი... ასეთია 1973 წელს სპორტულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზაციაში გამართული საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მთავარი შედეგები. ეს აღინიშნა 26 აპრილს მოსკოვში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის მორიგ სხდომაზე.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოდნენ ბელორუსიის სსრ, რსფსრ, ყაზახეთის სსრ, მხარეებს შორის საუკეთესო იყო სტავროპოლის მხარე, ოლქებს შორის — ნიკოლაევის ოლქი.

ბელორუსიაში ამჟამად მოსახლეობის მესამედი მისდევს ფიზკულტურასა და სპორტს, მეოთხედ მშდ კომპლექსის ნიშნოსანია, ხოლო 650 ათასი კაცი — თანრიგოსანი სპორტსმენი.

მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე ყველგან ასე რადია. მაგალითად, ყირგიზეთში, როგორც ეს კოლეგიის სხდომაზე აღინიშნა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მხოლოდ მეოთხედს აქვს სპორტული დარბაზები. რესპუბლიკაში სულ 23 ტირი და 17 აუზია. ამავე დროს, ბევრი არსებული სპორტული ბაზა სათანადოდ ეფექტურად არაა გამოყენებული.

ბოლო წლებში ამ რესპუბლიკის ფიზკულტურულ მოძრაობაში გარკვეული ძვრები მოხდა. სამ წელიწადში ფიზკულტურელთა რიცხვი 35 ათასით გაიზარდა, მაგრამ მშდ კომპლექსის ნიშნოსანი შარშან გახდა მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტი. დაბალ დონეზე დგას ფიზკულტურული მუშაობა და სპორტული ბაზების მშენებლობა სოფლად.

სპორტკომიტეტის კოლეგიაზე დაასახელეს, აგრეთვე, 1973 წლის საუკეთესო მწვრთნელები. საუკეთესოებად აღიარებული არიან: ა. სილაევი, ი. ჰასანოვი, ი. ასმოლოვსკი, ბ. მოროზი — ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონთა ჯგუფის მომზადებისთვის; ო. ჩუვილინი, ფ. კოტა, ა. ალეუტდინოვი, ა. ვანკოვი და ე. სდობნიკოვი — თანამედროვე ხუთჭიდში სსრ კავშირის ნაკრების მომზადებისთვის, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა და პირად შეჯიბრებაშიც ყველა მედალი დაისაკუთრა.

ცნობილი საბჭოთა მოთხილამურეების გ. კულაკოვას და ვ. როჩევის აღმზრდელები ვ. ივანოვი, მ. დურკინი და გ. ხარიტონოვი, აგრეთვე, ტანმოვარჯიშე ო. კორბუტის მწვრთნელი რ. კნიში ასევე დაჯილდოვდებიან სპეციალური ოქროს მედლებით.

გაიზარდა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატთა რაზმიც. ეს მაღალი წოდება მიენიჭა რიგელ ლ. კაჩკალდას (მხატვრული ტანვარჯიში).

სსრ კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში

მიპარვით... სამი მსოფლიო რეკორდი

ძალოსანთა ყოველი შეჯიბრების გვირგვინი რეკორდებია. სწორედ უმაღლესი მიღწევებია სპორტსმენთა მომზადების საზომი.

თბილისის ჩემპიონატის პირველმა ორმა დღემ რეკორდები ვერ მოგვეტანა, მაგრამ მაყურებლებს არ მოუწყენიათ: ბრძოლა ძაინც დაძაბული და საინტერესო გამოდგა. იყო ბევრი მოულოდნელობაც: სახელგანოქმული ძალოსანთა მარცხი, ახალგაზრდების აღზევება, ლიდერთა სიხარული და დამარცხებულთა სინანული. და მაინც კულისებში ხშირად ისმოდა სპეციალისტების ჩიფილი: რეკორდები სადღაა? სკეპტიკოსები ხიშნის მოგებით კითხულობდენ: საერთოდ იქნება კიო? ხოლო ოპტიმისტები იმედიანი ხალხია და სწამდათ, რომ თბილისის ფიცარნაგზე შეჯიბრება ურეკორდოდ არ დამთავრდებოდა.

და აი, ეს დროც დადგა. მთავარი მოვლენები 26 აპრილს საღამოს განვითარდა, მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. მანამდე კი გიამბობთ, თუ დღისით როგორ გაიმარჯვა ქვეყნაუალო წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში ვ. კურენცოვმა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენ პოპულარულია ძალოსანთა შორის მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი კურენცოვი. მას ყველა უმაღლესი წოდება აქვს ძოპოვებული, ამასთან, დამყარებული აქვს ათობით მსოფლიო რეკორდი. მაგრამ დასამალი როდია, რომ ბოლო ხანს იგი ბევრმა სპეციალისტმა უკვე უპერსპექტივო სპორტსმენად მიიჩნია. თვითონ ვიქტორი კი ასე როდი ფიქრობდა. ოდესღაც ძველ რომში მხედართმთავრებს ასეთი შეძახილებით ხვდებოდნენ: „ავე, ვიქტორ!“ რაც ნიშნავს: „გამარჯობა, გამარჯვებულო!“ ასე ხვდებოდნენ მსოფლიოს ბევრ ფიცარნაგზე კურენცოვსაც. შარშან დეკემბერში სსრ კავშირის თასის გათამაშებაზე ვიქტორს ვკითხეთ, რა შედეგის მოპოვებას ფიქრობთ-მეთქი. მან ღიმილნარევი ირონიით გვიპასუხა: ჩამოვედი, რათა ჩემი მემკვიდრეები ვნახოო. როცა შეჯიბრება დამთავრდა, კურენცოვი მეორე აღმოჩნდა. ეს ახალგაზრდობისთვის ნამდვილი გაკვეთილი იყო.

რაც შეეხება კურენცოვის გამოსვლას თბილისში, იგი ყოველგვარი ქების ღირსია. წინასწარ ვიტყვით, რომ კურენცოვი მეცხრედ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი! ასეთ ნამსახურობის სიას ბევრი ვერ დაიკვეხნის.

ახლა შეჯიბრების დეტალების შესახებ. სპეციალისტებმა კურენცოვის მიღწევა სპორტულ გმირობად მონათლეს. გამარჯვება იოლი როდი იყო. მრავალსაათიანი ბრძოლის შემდეგ მხოლოდ კურენცოვისთანა ათლეტებს შეეძლოთ ახალგაზრდების მოძალებისთვის გაეძლოთ. დაწყება წარუმატებელი გამოდგა: ათლეტმა პირველივე წონაზე (137,5 კგ) წაიფორხილა. ყველა გაოცდა, როცა გამოაცხადეს, კურენცოვი მეორე ცდაზე 142,5 კგ-ს ითხოვსო. რა იყო ეს, აზარტი? არა! ჩვენი აზრით, ეს იყო საკუთარი თავის რწმენა. ძალოსნის მთელი არსება უდიდეს ნებისყოფასა და სიმამაცეს გამოხატავდა. წონა დაძლეულ იქნა და კურენცოვმა გაიმარჯვა ამ მოძრაობაში.

მეორე მოძრაობაში — აკვრაში — ლიდერი უფრო წინდასედულად მოქმედებდა და 180 კგ-ს დაძლევის შემდეგ ორჭიდში 322,5 კგ დააგროვა. კურენცოვს შეიძლებოდა დასწეოდა ხხოლოდ ა. გალკინი, ოღონდ ხუთად მსოფლიო რეკორდი — 190 კგ უნდა აეკრა. როგორც ჩანს, ასეთი წონის დაძლევისთვის კიეველი ბზად არ იყო. საბოლოოდ გალკინმა II ადგილი დაიკავა. III ადგილზე გავიდა ი. შილკოვი, რომელმაც საუკეთესო შედეგი აჩვენა აკვრაში — 185 კგ. მან მსოფლიო რეკორდსაც შეუტია, მაგრამ ამაოდ.

ჩვენ დავამთავრეთ ქვეყნაუალო წონის ძალოსანთა ასპარეზობაზე საუბარი და არაფერი გვითქვამს სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონ ვ. ბიხაილოვზე (ვორონეჟოგრადი, „ავანგარდი“). სამწუხაროდ, იგი ამჯერად ხხოლოდ საყვედურს იმსახურებს, ვინაიდან ატაცში საწყისი წონა — 140 კგ ვერ დაძლია.

როცა გამარჯვებულებს აჯილდოებდნენ, კურენცოვის გვერდით იდგა წარსულში ცნობილი ძალოსანი, ამჟამად ჩემპიონის მწვრთნელი ვ. კაპელუნოვი, გალკინის გვერდით კი — ჟაბოტინსკი. იგი პირველად ვიხილეთ მწვრთნელის როლში...

რა მოხდა ცირკის თაღებს ქვეშ სალამოს? ჩემპიონატის ჭეშმარიტი გმირი გახდა საშუალო წონის ათლეტი ვ. რიეენკოვი. ბოლო ხანს იგი ყოველთვის წარმატებით იბრძვის როგორც I ადგილისთვის, ისე მსოფლიო რეკორდების დასამყარებლად. ჩვეულებას სპორტსმენმა არც ამჯერად უღალატა.

ათლეტები ფიცარნაგზე ერთმანეთს ცვლიდნენ.

როცა ყველა მონაწილემ დაამთავრა ატაცში ასპარეზობა, საუკეთესო შედეგი ჰქონდა ბ. პავლოვს — 150 კგ. სხვათა შორის, ამ ათლეტმა საკმაოდ დამუხტა ისედაც დაძაბული შეჯიბრება, როცა მხოლოდ მესამე ცდით შეძლო წონის დაძლევა. მხოლოდ ახლა დაიწყო ასპარეზობა რიეენკოვმა და კულისებიდან მოისმა შეძახილი: შტანგაზე 152,5 კგ გააკეთეთო. ამ წონას რიეენკოვი იოლად მოერია.

თავისებური მისვლა აქვს ამ უნიჭიერეს ათლეტს: იგი თითქოს ეპარებაო შტანგას, ისე ნელა, მოზომილად მიდის მასთან. შემდეგ ისე იქცევა, თითქოს შტანგა უსაყვარლესი რაღაც ნივთი იყოს, თითქოს ეფერება, თვით მოძრაობას კი უნაკლოდ ასრულებს.

რიეენკოვი ამჯერადაც ძალიან დამაჯერებლად მოქმედებდა. მაშინაც კი, როცა მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცში (163 კგ), ათლეტის მოქმედება საოცრად მსუბუქი იყო. ხხოლოდ ერთხელ წაიფორხილა რიეენკოვმა — აკვრაში მეორე ცდისას. არადა, როგორ უნდოდა ამ მოძრაობაშიც მსოფლიო რეკორდი დამყარებინა! ხუმრობა ხომ არაა, ერთი გასროლით ორ კუნდულს კლავდა: ამ მოძრაობაშიც ამყარებდა მსოფლიო რეკორდს და ორჭიდის ჯამშიც. და მაინც, მესამე ცდაზე რიეენკოვმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ამრიგად, ერთ საღამოს მან სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: ატაცში — 163 კგ, აკვრაში — 202,5 კგ და ორჭიდში — 362,5 კგ. ახლა მოსკოველი სპორტსმენის ანგარიშზე 11 მსოფლიო რეკორდია.

საშუალო წონაში გამოდიოდა თბილისელი ო. დემუროვიც. ატაცში ოდნავი უზუსტობა რომ არა, იგი შესაძლოა პრიზიორებშიც მოხვედრილიყო, თუმცა მისი VI ადგილიც სასიხარულოა.

დღეს შეჯიბრება მთავრდება.

ე. ციბრიკი,
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

ა. მხეიძე.

* * *

სურათებზე: ვ. კურენცოვი (მარცხნივ) და ვ. რიეენკოვი.
მ. ზარგარიანის ფოტოები.





ნინსკლის ფუჭდღეები

საშუალო წონა, ატაცი. ვ. რიეენკოვი. 163 კგ. მსოფლიო რეკორდი.

საბჭოთა საშუალო წონის ათლეტთაგან მსოფლიოს პირველი რეკორდსმენი გ. ნოვაკი გახლდათ: 1946 წელს მან 130 კგ აიტაცა. 4 წლის შემდეგ რეკორდსმენი უკვე ა. ვორობიოვი იყო, რომელმაც ექვს შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდის ჭერი 136 კგ-მდე ასწია. მერე რამდენიმე ხნით მიღწევამ ამერიკელებთან დ. ჯორჯთან და ჯ. შეპარდთან გადაინაცვლა, მაგრამ შემდეგ საბჭოთა ძალოსანმა რ. პლიუკფელდერმა ზედიზედ ექვსჯერ დამყარა მსოფლიო რეკორდები და 142 კგ-მდე აიყვანა.

რეკორდსმენები იყვნენ სხვა საბჭოთა ათლეტებიც: ვ. ბელიაევი, გ. ივანჩენკო, აგრეთვე, უცხოელი ძალოსნები — პოლონელი ხ. ოზიმეკი, იაპონელი ძ. ოუტი, ფინელი ი. აველანი, ბულგარელი რ. რუსევი.

ბოლო წლებში რეკორდსმენობისთვის მხოლოდ საბჭოთა ძალოსნები ვ. შარიი, დ. რიგერტი და ვ. რიეენკოვი იბრძვიან. 1972 წლის დეკემბერში რიგერტმა 150 კგ აჩვენა. შარიმ ეს შედეგი 500 გრამით გაუუმჯობესა, შემდეგ რიეენკოვი თანმიმდევრულად აუჯობესებდა რეკორდებს: ჯერ — 161, მერე — 161,5, 162,5, ბოლოს, თბილისში — 163 კგ.

საშუალო წონა. აკვრა. ვ. რიეენკოვი. 202,5 კგ. მსოფლიო რეკორდი.

რეკორდსმენები იყვნენ საბჭოთა ათლეტები ა. ბოკკო, ტ. ლომაკინი, ვ. პეგოვი და სხვ. მაგრამ აი, გაბორნდა უნგრელი დ. ვერეში. ოთხი წლის მანძილზე მხოლოდ იგი აუმჯობესებდა მსოფლიო რეკორდს და ბოლოს მიღწევა 190 კგ-მდე აიყვანა. შემდგომ რეკორდსმენები იყვნენ ბ. სელიცკი, ბ. პავლოვი, გ. ივანჩენკო. 1970 წელს რეკორდი საბჭოთა ძალოსნებს ჩამოართვა ფინელმა ათლეტმა ი. აველანმა, როცა 193,5 კგ დაძლია. ეს იყო უცხოელი ძალოსნების ბოლო წარმატება.

საბჭოთა ქვეყანას რეკორდი დაუბრუნა ფ. ნანიევმა — 194 კგ. შემდეგ დ. რიგერტმა 201 კგ აჩვენა. რიეენკოვმა მადრიდში, ევროპის ჩემპიონატში 201,5 კგ დაძლია. ერევანში, მეგობრობის პრიზის გათამაშებაში წლეულს 202 კგ აჩვენა, და ბოლოს, თბილისში—202,5 კგ.

საშუალო წონა. ორჭიდი. ვ. რიეენკოვი. 362,5 კგ. მსოფლიო რეკორდი.

უკანასკნელ რეკორდს სამჭიდში ფლობდა ვ. შარიი — 527,5 კგ. ეს ეგრეთ წოდებული მუდმივი რეკორდია. შემდეგ კი დაიწყო ახალი ეპოქა: ძალოსნებმა ასპარეზობა დაიწყეს მხოლოდ ორჭიდში.

პირველი რეკორდი დ. რიგერტს ეკუთვნოდა — 355 (155+200). შემდეგ კი რეკორდს ამყარებდა მხოლოდ რიეენკოვი. მისი მიღწევებია: ტუაფსეში — 357,5 (160+197,5), ერევანში—360 (160+200), და ბოლოს, თბილისში — 362,5 (160+202,5).

ე. ლიუბომიროვი.

ᲔᲕᲐᲚᲐᲜᲘ ᲐᲢᲔᲡᲢᲐᲪᲘᲐᲖᲔ!

საკავშირო სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით, 1970 წელს თბილისში ჩატარდა მწვრთნელ-მასწავლებელთა ატესტაცია. ამ ღონისძიების მიზანი იყო მწვრთნელ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობის ამაღლება უმაღლესი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადებისთვის, აგრეთვე, სპორტში მომუშავე მწვრთნელთა დატვირთვის განსაზღვრა.

ატესტაცია გაიარა 850-ზე მეტმა მწვრთნელმა. მათგან III კატეგორია მიიღო 301 მწვრთნელმა, II — 221-მა, I — 152-მა და უმაღლესი — 28-მ.

ჩატარებული ატესტაციის მიხედვით მინიჭებულმა კატეგორიამ ყველა მწვრთნელს განუსაზღვრა დატვირთვა (საათების რაოდენობა) და გათავისუფლა ისინი დამატებითი სამუშაოსგან. ამან, რა თქმა უნდა, დადებითი გავლენა იქონია სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ხარისხზე.

განვლილი ატესტაციის დრო — ოთხწლიანი ციკლი ამოიწურა. ამიტომაც საკავშირო სპორტკომიტეტმა მიზანშეწონილად ცნო ხელახალი ატესტაცია (მაის-ივნისში).

საკავშირო სპორტკომიტეტის დადგენილების შესაბამისად, რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ დაამტკიცა ცენტრალური კომისია, რომლის თავმჯდომარედაც დანიშნულია საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დ. პერტენავა. კოლეგიის ზემოაღნიშნული დადგენილების შესრულების მიზნით, თბილისის სპორტკომიტეტმა ჩაატარა წინასწარი მუშაობა: დაბეჭდა და სპორტულ ორგანიზაციებს დაეგზავნათ სათანადო დოკუმენტაციები, დამტკიცდა ქვეკომისიები სახეობების მიხედვით. ამ ქვეკომისიების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ წარსულში სახელოვანი სპორტსმენები ო. ქორქია, ნ. დუმბაძე, ე. გოკიელი, მ. ჯულელი, ბ. პაიჭაძე, ბ. დიაჩკოვი, გ. საღარაძე, დ. იოსელიანი და სხვ. დამტკიცდა ქვეკომისიების მუშაობის გრაფიკიც. ჩატარდა სათანადო ახსნა-განმარტებები სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან.

გთავაზობთ თბილისის მწვრთნელ-მასწავლებელთა ატესტაციის გრაფიკს:

აფრესნობა, წყალსამტორო, წყალსათხილამური-სპორტი	6 მაისი-3 ივნისი
კალათბურთი	7-28 მაისი
მძლეოსნობა	7 მაისი-5 ივნისი
სპორტული ტანვარჯიში, აკრობატიკა	8 მაისი-5 ივნისი
ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი	10-31 მაისი
ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სამბო	10 მაისი-7 ივნისი
თავისუფალი ჭიდაობა	10 მაისი-7 ივნისი
ჭადრაკი, შაში	12 მაისი-4 ივნისი
ველოსპორტი	13-28 მაისი
ალპინიზმი, მეკლდეურობა, ტურიზმი	14-27 მაისი
ზამთრის სახეობები	15 მაისი-3 ივნისი
ხელბურთი	16 მაისი-10 ივნისი
კლასიკური ჭიდაობა	17 მაისი-7 ივნისი
ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა	17 მაისი-10 ივნისი
კრივი	20 მაისი-5 ივნისი
ფრენბურთი	20 მაისი-5 ივნისი
წყალში ხტომა	20 მაისი-6 ივნისი
ცხენოსნობა, თანამედროვე ხუთჭიდი	20 მაისი-10 ივნისი
ფეხბურთი	21 მაისი-4 ივნისი
მხატვრული ტანვარჯიში	23 მაისი-4 ივნისი
ფარიკაობა	23 მაისი-7 ივნისი
ბატუტზე ხტომა	24 მაისი-3 ივნისი
აკადემიური ნიჩბოსნობა, ბაიდარა, კანოე	24 მაისი-5 ივნისი
ძალოსნობა	24 მაისი-6 ივნისი
ცურვა, წყალბურთი	27 მაისი-10 ივნისი
რაგბი	10 ივნისი

ატესტაცია იწარმოებს თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის შენობაში (კონსტიტუციის ქ. № 6) 14 საათიდან.

მწვრთნელ-მასწავლებელთა საყურადღებოდ!

თბილისში მომუშავე ყველა მწვრთნელი და მასწავლებელი ვალდებულია წარუდგინოს კომისიას მწვრთნელის მოწმობა ან სპორტსმენ-თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების ცნობა, საატესტაციო ფურცელი და დახასიათება გრაფიკით დადგენილ ვადებში.

მწვრთნელი, რომელიც ატესტაციას არ გაივლის, ამა წლის 1 აგვისტოდან სამუშაოზე არ დაიშვება.

ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲔᲑᲘ

ᲥᲕᲘᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲬᲝᲜᲐ. ორჭიდი: 1. ვ. კურენცოვი (მოსკოვის ოლქი, შეიარაღებული ძალები)—322,5 (142,5+180), 2. ა. გალკინი (კიევი, შეიარაღებული ძალები) — 317,5 (135+182,5), 3. ი. შილკოვი (პერმი, „ტრუდი“) — 315 (130+185). ატაცი: 1. კურენცოვი — 142,5, 2. ვ. ერმოლჩიკი (ბრესტი, შეიარაღებული ძალები) — 137,5, 3. ა. პიპერიდი (ალმა-ათა, „ენბეკი“)—137,5; აკვრა: 1. შილკოვი — 185, 2. გალკინი — 182,5, 3. კურენცოვი — 180.

ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ. ორჭიდი: 1. ვ. რიეენკოვი (მოსკოვი, „დინამო“) — 362,5 (160+202,5), 2. ბ. პავლოვი (დონეცკი, „სპარტაკი“)—342,5 (150+192,5), 3. ი. კალაშნიკოვი (მოსკოვი, „დინამო“) — 335 (147,5+187,5). ატაცი: 1. რიეენკოვი — 160, 2. პავლოვი — 150, 3. კალაშნიკოვი — 147,5; აკვრა: 1. რიეენკოვი — 202,5, 2. პავლოვი — 192,5, 3. კალაშნიკოვი — 187,5.

მოლაპარაკება მიმდინარეობს

11 მაისს მოსკოვში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების პირველი მატჩია დანიშნული. აშშ-ს მოყვარულთა ათლეტური კავშირის წარმომადგენელმა ჯ. ფოქსმა დაასახელა ნაკრების რამდენიმე წევრი, რომლებსაც საბჭოთა კავშირში მოუწევთ თამაში.

ესენი არიან: ბ. ჯონსი და დ. ელსტონი (ორივე — ჩრდილოეთ კაროლინა), ტ. ბარლესონი (ამავე შტატის ნაკრების წევრი), ტ. მაკმილენი და ლ. ელმორი (მერილენდი), კ. უოკერი (დასავლეთ ვირჯინია). სტუდენტთა და არმიული გუნდების დანარჩენ წევრებთან მოლაპარაკება მიმდინარეობს.

ფოქსის აზრით, აშშ-ს ნაკრები ბევრს მოიგებს, თუ მოხერხდა გუნდის შემადგენლობაში ჯ. შუმეიტის („ნოტრ დამ სტარი“) გადმობირება. მაგრამ შუმეიტი მომავალ სეზონში პროფესიონალებში უნდა გადავიდეს და მისი მომავალი მენეჯერი ნაკრების მწვრთნელს ლ. ბრაუნს დიდ წინააღმდეგობას უწევს.

ბრაუნს განზრახული აქვს მოიწვიოს, აგრეთვე, ლ. ჰაფი (აიოვა).

ამერიკელები სსრ კავშირში თავიანთი ნაკრების მომავალ ტურნეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ᲠᲔᲙᲚᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲭᲣᲚᲐ

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონი. 28 აპრილი.

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 2:2 (0:0, 0:0, 2:2).

„სპარტაკი“: პროხოროვი, ბუკიევსკი, ოლშანსკი, ლოვჩევი, ზენკოვი, ლოგოფეტი, კოკორევი, როტკოვი, ბულგაკოვი (ანდრეევი), პისკარიოვი, რედინი.

„დინამო“: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ახალთიანი, უიფიანი, გ. ნოდია, წერეთელი (რეხვიაშვილი).

მსაჯი კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები — 1:0.

სეზონის გახსნის მატჩი დედაქალაქში მიმდინარეობდა საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში, ორივე მხარე ენერგიულად იბრძოდა წარმატების მოსაპოვებლად და, თუმცა გოლის გატანის შესაძლებლობა საკმაოდ იყო, ვერც სპარტაკელებმა, ვერც დინამოელებმა ეს ვერ შეძლეს.

დებულების შესაბამისად, დაინიშნა 11-მეტრიანების სერია. ვერც ამან მოუტანა უპირატესობა მეტოქეებს — 2:2. მათ თანაბრად გაიყვეს ქულები.

I ᲯᲒᲤᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲤᲠᲔ

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტური. ქუთაისის „ტორპედო“ ივანოვოში ეთამაშა ადგილობრივ „ტექსტილშჩიკს“. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1.

ᲚᲘᲒᲐ ᲛᲐᲡᲢᲠᲔᲑᲘ

ასეთი შედეგებით დასრულდა: „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 4:2, ასკ (დონის როსტოვი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 4:4 (პენალტებით), „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 0:1, „დინამო“ (მინსკი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 1:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „პამირი“ (დუშანბე) 3:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 2:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 2:1, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:1.

II ᲯᲒᲤᲘ ᲨᲔᲠᲩᲘ

26 აპრილს შედგა IV ტურის კალენდარული შეხვედრები.

„ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ“ (ᲤᲝᲗᲘ) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲑᲠᲘᲐᲜᲚᲙᲘ) 1:0

მატჩი მიმდინარეობდა ძლიერ ქარში, რომელიც საგრძნობლად უშლიდა ხელს ფეხბურთელებს. გრძელი გადაცემები მიზანს ვერ აღწევდა. ამიტომ ორივე გუნდი იძულებული იყო მოკლე გადაწოდებებით ეთამაშა და ამის გამო ბრძოლა ძირითადად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა.

35-ე წუთზე გურგენაძემ მიიღო ცაავას გადაცემა და შორიდან დარტყა კარში. ბურთმა მიმართულება შეიცვალა და... ბადეში აღმოჩნდა. ამ გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი ფოთელთა სასარგებლოდ, თუმცა მათ კვლავ შეეძლოთ მიეღწიათ წარმატებისთვის.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა შეძლეს რამდენიმე სახიფათო შეტევის განხორციელება, „კოლხეთის“ დაცვას, სადაც გამოირჩეოდნენ ბურჭულაძე, ფილია, გუდავაძე, ცაავა, მთელი ძალღონით მოუდგა ბრძოლა.

ბ. ბასილაია.
(ტელეფონით).

ფოთი.

„ᲒᲣᲠᲘᲐ“ (ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ) — „ᲘᲡᲙᲠᲐ“ (ᲡᲛᲝᲚᲔᲜᲡᲙᲘ) 1:1

მატჩის დაწყების წინ ორივე გუნდმა წუთიერი დუმილით პატივი სცა სპორტის დამსახურებული ოსტატის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ა. ჟორდანიას ხსოვნას.

„ისკრა“ ზედიზედ მოპოვებული ორი გამარჯვების შემდეგ ჩამოვიდა ლანჩხუთში და, ეტყობა, ფრეც ხელს აძლევდა. ამიტომ სტუმრები დაცვაზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე იერიშზე. რაც შეეხებათ ლანჩხუთელებს, მათ პირველივე წუთებიდან ძლიერი შეტევა განავითარეს და „ისკრა“ დასაწყისშივე გადაურჩა აშკარა გოლს: ტროიანის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

თითქმის მთელი ტაიმის მანძილზე არ დამცხრალა მასპინძელთა იერიშები, ანგარაში კი მაინც არ გახსნილა.

შესვენების შემდეგ „ურალამ“ ახალი ძალებით შეუტია და 56-ე წუთზე საწადილსაც მიაღწია: ნაჭყლბია — ძიძიგური — ძაგანიას კომბინაციია ზუსტი დარტყმით დამთავრდა — 1:0.

ხუთიოდე წუთის შემდეგ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ტროიანმა ვერ შეძლო საუკეთესო მომენტის გამოყენება, ამას კი მოჰყვა სმოლენსკელთა კონტრშეტევა, დაინიშნა საჯარიმო დარტყმა და ანგარიში გათანაბრდა.

დარჩენილ დროში „ურალა“ ბევრს ეცადა გაეტანა გადამწყვეტი გოლი, მაგრამ ეს ვერ შეძლო და ფრეს დასჯერდა.

გ. წილოსანი.
(ტელეფონით).

ლანჩხუთი.

ᲚᲝᲑᲔᲚᲝᲡ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ... ᲙᲐᲠᲐᲑᲘᲜᲔᲠᲔᲑᲘ

ცნობილი იტალიელი მსაჯი ლობელო ძლივს გადაურჩა ფლორენციელ გულშემატკივრებს, როცა „ფიორენტინის“ კარში 11-მეტრიანი დარტყმა დანიშნა და „ლაციომ“ შეძლო 2 ქულის აღება.

ლობელო გადაარჩინეს კარაბინერებმა, რომლებმაც მოიგერიეს გულშემატკივართა შეტევა და მსაჯი სასტუმროში წაიყვანეს. რამდენიმე საათს ლობელოს აქაც იცავდნენ, სანამ გულშემატკივრები ბოლოს და ბოლოს არ დაშოშმინდნენ.

ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘᲐ

საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლის V ეტაპზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ბათუმ — სამტრედიის ტრასაზე ლიდერის ყვითელი მაისური დაკარგა ბურევესტნიკელმა ა. ხამუტოვმა. ეტაპი მოიგო ა. ცხოვრებაძემ („დინამო“) და ჩაუდგა კიდეც სათავეში ველორბოლას. მაგრამ მისი წარმატებაც ხანმოკლე გამოდგა.

VI ეტაპზე თავი გამოიჩინა სპარტაკელმა ი. რთველიაშვილმა. ველორბოლა მან წარუმატებლად დაიწყო: პირველი ეტაპის შემდეგ რთველიაშვილი, რომელსაც სპეციალისტთა უმრავლესობა გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა, მხოლოდ 35-ე იყო. მაგრამ სპარტაკელი სპორტსმენი მაინც არ დანებდა. იგი ყოველ ეტაპზე ინაზღაურებდა დაკარგულს, ნელ-ნელა უახლოვდებოდა დაწინაურებულ ჯგუფს და ბოლოს, VI ეტაპზე, პირველი აღმოჩნდა.

ცხოვრებაძე ჯერ კიდევ ლიდერი იყო, მაგრამ მას მჭიდროდ მიუახლოვდა რთველიაშვილი. და აი, VII ეტაპზე [illegible] ეს უნდა მომხდარიყო: რთველიაშვილმა გაუსწრო ლიდერს და ყვითელ მაისურში გამოეწყო.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ბოლო ეტაპზე (თბილისი — წითელი ხიდი — თბილისი), რომელმაც უნდა გამოავლინოს საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლის ჩემპიონი.

Გ. ᲤᲪᲮᲘᲐᲚᲐᲫᲔ.

• • •

გთავაზობთ ბოლო ეტაპების პრიზიორთა ტექნიკურ შედეგებს:

V ᲔᲢᲐᲠᲘ. ბათუმი — სამტრედია. 115 კმ. 1. ა. ცხოვრებაძე („დინამო“) — 2:46.40, 2. ი. რთველიაშვილი („სპარტაკი“) — 2:47.10, 3. გ. თოლომაშვილი („განთიადი“) — 2:47.25.

VI ᲔᲢᲐᲠᲘ. სამტრედია — ხაშური. 107 კმ. 1. ი. რთველიაშვილი — 3:09.35, 2. ტ. ზავოდა — 3:10.06, 3. მ. მაიკოვსკი (ორივე — პოლონეთი) — 3:11.49.

VII ᲔᲢᲐᲠᲘ. ხაშური — თბილისი. 140 კმ. 1. ა. ხალოიანი (სომხეთი I) — 3:58.06, 2. შ. ჩქარეული (თბილისის ასკ) — 3:59.10, 3. გ. თოლომაშვილი — 3:59.17.

7 ეტაპის ჯამში ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: 1. ი. რთველიაშვილი — 21:14.28, 2. დ. კობაიძე („ბურევესტნიკი“) — 21:17.33, 3. ა. ხამუტოვი — 21:22.46, 4. ა. ცხოვრებაძე — 21:23.14, 5. მ. მაიკოვსკი — 21:25.13, 6. გ. პლოხინოვი („სპარტაკი“) — 21:27.49.

გუნდური ადგილები: 1. „ბურევესტნიკი“ — 64:46.46, 2. „სპარტაკი“ — 64:55.12. 3. სომხეთი I — 65:02.25, 4. პოლონეთი — 65:08.47, 5. „განთიადი“ — 65:20.27, 6. „დინამო“ — 65:50.42, 7. „კოლშეურნე“ — 66:15.58, 8. სომხეთი III — 66:29.06, 9. სომხეთი II — 66:45.31.

• • •



სურათზე: VII ეტაპზე გამარჯვებული ა. ხალოიანი (სომხეთი I) ფინიშთან.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ

დღეს თბილისის ახალ ველოტრეკზე იწყება სსრ კავშირის ჩემპიონატი სპრინტში. წლევანდელი ტურნირი, რომლის მიზანია სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის დასახელება, წინა შეჯიბრებებისგან არსებითად განსხვავდება. ჯერ ერთი, აქამდე არ გათამაშებულა აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული; მეორეც, წლევანდელი ჩემპიონატი მოიცავს სამ ეტაპს, სამ დამოუკიდებელ შეჯიბრებას, რომელთა ჯამიც საფუძვლად დაედება საბოლოო შედეგებს.

პირველი ეტაპი უკვე ჩატარდა ლენინაბადში. მეორე ეტაპის სტარტები გაიმართება დღეს და ხვალ თბილისის ახალ ველოტრეკზე, მესამე ეტაპს კი ივლისში სომხეთის დედაქალაქი უმასპინძლებს. ამ სამი ასპარეზობის შედეგების მიხედვით გამოვლინდება სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი სპრინტში. მაგრამ ამ საპატიო ტიტულის მოპოვებისთვის სპორტსმენმა აუცილებლად უნდა მოიგოს რომელიმე ეტაპი.

თუ, ვთქვათ, ველოსიპედისტმა სამივე შეჯიბრებაში II ადგილები დაიკავა და დააგროვა უკეთესი ქულები, ვიდრე, ვთქვათ, ერთ რომელიმე ეტაპზე გამარჯვებულმა, იგი მაინც ვერ გახდება აბსოლუტური ჩემპიონი. მთავარ ჯილდოს გაითამაშებენ ეტაპებზე გამარჯვებულნი.

ლენინაბადის ეტაპის შემდეგ პირველი სამეული ასეთია: 1. ვ. კოპილოვი, 2. ხ. კამელკოვი (ორივე — შეიარაღებული ძალები), 3. ვ. ნემჩენკო („ტრუდი“).

გთავაზობთ ჩვენი რესპუბლიკის ველოსიპედისტთა შედეგებს: ი. ვოლკოვი („განთიადი“) — IV ადგილი, ი. შარმაზანოვი (შეიარაღებული ძალები) — XIV, ნ. ივანოვი — XXI, მ. გაგნიძე (ორივე — „შრომითი რეზერვები“) — XXIX.

როგორც ხედავთ, სამეულში არ არიან სსრ კავშირის უძლიერესი სპრინტერები. ვ. ტრიფონოვი („ტრუდი“) ჯერჯერობით VIII ადგილზეა, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები ა. იაბლუნოვსკი (შეიარაღებული ძალები) და ს. კრავცოვი („დინამო“) — შესაბამისად XVI და XII ადგილებზე. ეს ყველაფერი გვაძლევს იმედს, რომ თბილისსა და ერევანში ბრძოლა უაღრესად მძაფრი და დაძაბული იქნება.

ნ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ.

ᲡᲐᲛᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲘ ᲓᲐ III ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

მაიკოპში დამთავრდა იუნიორ სამბისტთა საკავშირო პირად-გუნდური ჩემპიონატი. ასპარეზობაში მონაწილეობდა 200-ზე მეტი ათლეტი მოკავშირე რესპუბლიკებიდან, აგრეთვე, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან.

გუნდური გამარჯვება მოიპოვეს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა. II ადგილი ხვდათ უკრაინის, III — საქართველოს სამბისტებს.

ჩვენი რესპუბლიკის ათლეტებიდან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია ნ. ხუციშვილმა (68 კგ), რომელიც II ადგილზე გავიდა. მ. დავითაშვილსა (48 კგ) და ა. მორჩილაძეს (62 კგ) III ადგილები ერგოთ.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. ტრიში, ბ. ვაისოვი, პ. მამრუკოვი (ყველა — რსფსრ), ვ. კრიეოსოგოვი (ბელორუსია), ს. არაქელიანი, ს. დაჩევი, ვ. ზინიაკოვი, ვ. გურინი (ყველა — რსფსრ), ს. გორიუნოვი (უკრაინა), ა. ივანოვი (ლენინგრადი).

ᲒᲘᲚᲝ ᲒᲐᲡᲠᲝᲚᲔᲑᲘ

ლვოვში დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს ტყვიის მსროლელთა საგაზაფხულო შეჯიბრება, რომელიც რსფსრ-ს სპორტსმენთა დიდი უპირატესობით აღინიშნა. ბოლო დღეს პნევმატური შაშხანის სროლაში ტ. ჩერკასოვამ (მოსკოვის ოლქი, „დინამო“) 380 ქულა მოაგროვა და გაიმარჯვა.

სტანდარტზე (3×40) საბრძოლო შაშხანის სროლაში სპორტსმენები ვარჯიშს ორ-ორჯერ ასრულებდნენ. ნოვოსიბირსკელმა არმიელმა ა. აგიშევმა ორივეჯერ ყველა მეტოქეს აჯობა: მან პირველად 1139 ქულა მოაგროვა, მეორედ — 1154.

დასკვნითი ეტაპი იყო ქალთა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი პისტოლეტის 30 გასროლაში. კეველმა ნ. სტოლიაროვამ და დოსეკკელმა ლ. მინკომ ერთნაირი შედეგები (279 ქულა) აჩვენეს. I ადგილი მინკოს მიეკუთვნა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲗᲐᲜ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ

ძალოსანთა საქალაქო პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ბ. ბოხუამ (მე-10 საშუალო სკოლა), ა. ჩახოვმა (მე-2 რვაწლიანი სკოლა), ვ. ხასიამ (მე-10 საშუალო სკოლა), ს. აქსიუტეცმა (ქიმხალმშენის სამმართველო), მ. სართანიამ (მე-7 საშუალო სკოლა), რ. ძიმისტარიშვილმა (მე-10 საშუალო სკოლა), ვ. მოლოკანოვმა, პ. ჩაპეკმა (ორივე — ჰიდრომექანიზაციის სამმართველო). საშუალო სკოლების გუნდებს შორის გაიმარჯვეს მე-10 სკოლის წარმომადგენლებმა, საწარმო-დაწესებულებების კოლექტივებში — ეხგურჰესის მშენებლობის ჰიდრომექანიზაციის სამმართველოს სპორტსმენებმა.

Ჯ. ᲤᲘᲤᲘᲐ,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ

დამთავრდა რვაწლიანი სკოლების მოსწავლეთა რაიონული პირველობები კალათბურთსა და ფრენბურთში. კალათბურთელთა შეჯიბრებაში საუკეთესონი აღმოჩნდნენ ნაბეღლავის სკოლის მოსწავლეები. II ადგილი დაიკავეს ფარცხმის, ხოლო III — ბუკნარის სკოლების მოსწავლეებმა. ფრენბურთელთა შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: ნაბეღლავის, ბუკნარის, გორაბერეთოულის სკოლები.

დ. ᲒᲣᲠᲑᲔᲜᲘᲫᲔ.

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ

აქ გაიმართა საშუალო სკოლების ფრენბურთელ გოგონათა პირველობა. I ადგილი დაიკავა ზედა საზანის საშუალო სკოლის კოლექტივმა.

შ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ,
ზედა საზანის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲕᲘᲜᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ

ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲤᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

წინა ნომერში ვიტყობინებოდით ევროპის საკლუბო გუნდების ტურნირების განმეორებითი ნახევარფინალური მატჩების შედეგებს, აგრეთვე, მადრიდის „ატლეტიკოს“ და გლაზგოს „სელტიკის“ შეხვედრაში მოპოვებულ ამბებს.

ახლა მოგითხრობთ ვინ გაიტანა გოლები სხვა მატჩებში.

ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ფინალურ თამაშში მიუნჰენის „ბაიერნმა“, როგორც ცნობილია, იოლად სძლია ბუდაპეშტის „უიპეშტ დოჟას“ — 3:0. ბურთები გაიტანეს ტორსტენსონმა და მიულერმა (2).

თასების მფლობელთა თასის გათამაშების მატჩში „მაგდებურგმა“ თავისი სტუმრის — ლისაბონის „სპორტინგის“ კარში ორი ბურთი გაიტანა (მე-9 წუთზე — პომერენტემ, 68-ე წუთზე — შპარგასერმა). ერთადერთი საპასუხო გოლი 78-ე წუთზე გაიტანა მარინიომ.

მენჰენგლადბახის „ბორუსიის“ და „მილანის“ შეხვედრა, როგორც ვიუწყებოდით, ანგარიშით 1:0 მოიგეს გერმანელებმა. ეს ერთადერთი ბურთი თავის კარში ჩაჭრა მცველმა საბადინიმ, მაგრამ თანაკლუბელებმა იგი ჯვარს არ აცვეს, ვინაიდან თავის მინდორზე უფრო დიდი ანგარიშით (2:0) გამარჯვების წყალობით „მილანი“ ფინალში გავიდა.

ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — ლაიფციგის „ლოკომოტივი“. ამ გუნდების მეორე ნახევარფინალური მატჩი უეფა-ს თასზე, როგორც ცნობილია, ინგლისელებმა მოიგეს — 2:0. სტუმართა კარში ბურთები გაიტანეს მაკგრატმა და ჩივერსმა.

უეფა-ს თასის გათამაშების მეორე ფინალისტი გახდა როტერდამის „ფეიენორდი“, რომელიც სტუმრად ფრეს (2:2) დასჯერდა გფრ-ის „შტუტგარტთან“ (წინა ნომერში ჩვენ შეცდომით გადმოგეცით „შტუტგარტის“ მოგება — 1:0). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჰოლანდიელები 59-ე წუთამდე წინ იყვნენ ანგარიშით 2:0.

ახალი ამბები-74

● **გლაზოვი, 26 აპრილი.** ადგილობრივ სპორტის სასახლე „პროგრესში“ დაიწყო „ა“ კლასის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. პირველი დღის შედეგებიდან უნდა აღინიშნოს ცსკა-ს გამარჯვება კიევის არმიელებთან (21:18) და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდის მოგება „კუნცევოსთან“ (30:22).

● *პარიზი, 26 აპრილი. საფრანგეთში დაიწყო მრავალდღიანი ველორბოლა „ლიმუზინი“, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობენ. ესენი არიან: კუიბიშეველები ნ. სიტნიკი, ა. ჩუსოვი, ომსკელი ი. ოსინცევი, ტამკენტელი ა. დიკუსარი, ტოლიატელი ა. გაბაიდულინი და მოსკოველი ე. სმეტანინი.*

● **ლენინგრადი,** 26 აპრილი. ნევის სანაპიროზე, ლეგენდარულ კრეისერ „ავრორას“ მახლობლად სტარტი აიღო სსრ კავშირის 18 ქალაქის 55 ზემარათონელმა. მათ 200 კმ ჰქონდათ დასაძლევი. გაიმარჯვა ობნინსკელმა სპორტის ოსტატმა ე. ხარიტონოვმა. გარბენი მოაწყო ლენინგრადის კლუბმა „ირბინე, შეგარგოს!“.



სირბილი... საავადმყოფომდე

222 კმ 24 საათში — ასეთია იტალიური „რეკორდი“, რომელიც 27 წლის ლივორნელმა ანდრეა მორელიმ დაამყარა. მან მილანის ერთ-ერთ სტადიონზე აიღო სტარტი და მის ბილიკზე 556 წრე „შემოხაზა“.

რათა არ ჩასძინებოდა, მორელი ყოველი 50 წრის შემდეგ მიმართულებას იცვლიდა და წამდაუწუმ სვამდა გლუკოზითა და მინერალური მარილებით შეზავებულ სპეციალურ სითხეს.

ზუსტად ერთი დღე-ღამის შემდეგ მორელი მოცელილივით დაეცა და საავადმყოფოში გააქანეს. გარბენის პერიოდში „რეკორდსმენი“ 3 კილოგრამით გახდა.

ახლა მხოლოდ ერთი რამ დარჩა გამოსარკვევი: რა საჭიროა ეს თვითგვემა?

სპასკი — კარპოვი 1:2

(4 ყაიმი)

ლენინგრადი, 26 აპრილი. სათამაშო დარბაზში ელექტროტაბლოზე წამდაუწუმ ინთებოდა წარწერა: „დაიცავით სიჩუმე“. ესეც ერთი დადასტურება იყო სპასკი — კარპოვის მატჩის VII პარტიაში ბრძოლის სიმძაფრისა. სპასკიმ, რომელსაც მატჩში უარყოფითი ანგარიში აქვს, პირველი სვლებიდანვე გამოავლინა თავისი ზრახვები. მან ჰოლანდიური დაცვა აირჩია, რომელსაც მწვავე თამაში მოჰყვება. დაფაზე ეგრეთ წოდებული „ქვის კედელი“ აიგო. სპასკიმ დებიუტიდან მტკიცე, მაგრამ ოდნავ შევიწროებული პოზიცია მიიღო.

კარპოვის განკარგულებაში რამდენიმე პერსპექტიული გაგრძელება იყო, მაგრამ ახალგაზრდა დიდოსტატმა აირჩია ყველაზე საიმედო — სიმეტრიული, რითაც მეტოქის მხრიდან კონტრთამაშის შესაძლებლობა გამორიცხა. შუა პარტიაში კარპოვმა შესამჩნევ პოზიციურ უპირატესობას მიაღწია. სხვადასხვა ფერის კუთა პოზიცია აშკარად თეთრების სასარგებლოდ ჩანდა. შემდეგ კარპოვი მთელ ფრონტზე პაიკებით შეტევაზე გადავიდა. მძიმე მდგომარეობაში, 27-ე სვლაზე, სპასკი იძულებული გახდა პაიკი დაეთმო.

თამაშის მეხუთე საათზე კარპოვმა პაიკებით მეტოქის პოზიცია გაარღვია და მეფის ფრთაზე სამი გადაბმული პაიკი შექმნა, მაგრამ მსოფლიოს ექსჩემპიონმა მოასერხა თავისი ფიგურების აქტივიზაცია და თამაში მკვეთრად გაამძაფრა. მისი ფიგურები თეთრების ბანაკში შეიჭრნენ.

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

● ●

პარტია გადაიდო რთულ პოზიციაში, რომელშიც ბევრი რამაა დამოკიდებული კარპოვის ჩაწერილ სვლაზე და შეწყვეტილი პოზიციის ანალიზზე.

გთავაზობთ VII პარტიას.

კარპოვი — სპასკი

ჰოლანდიური დაცვა

1. d4 d5 2. c4 e6 3. ∅c3 c6 4. e3 f5 5. f4 ♗f6 6. ♗f3 ♗e7 7. ♗e2 0—0 8. 0—0 ♗e4 9. ♕c2 ∅d7 10. b3 ♗:c3 11. ♕:c3 ♗f6 12. ♗e5 ♗d7 13. a4 ♗e4 14. ♕d3 ♗f6 15. ♗a3 ♕e8 16. ♗h5 g6 17. ♗f3 ♗:e5 18. de h5 19. ♗:e4 fe 20. ♕d2 ♗f7 21. a5 ♖h8 22. ♗d6 ♖h7 23. ♖b4 ♗c8 24. ♖a2 ♗g8 25. h3 a6 26. g3 ♗d7 27. ♕:b7 ♗e8 28. ♖b4 ♖aa7 29. ♖g2 ♖ab7 30. ♕c3 ♖bf7 31. ♗c5 g5 32. ♗b6 ♕d7 33. cd ed 34. g4 hg 35. hg gf 36. ef ♖h4 37. f5 ♖fh7 38. e6 ♕d6 39. ♕g3 ♖h1+ 40. ♗f2 ♕b4.

პარტია გადაიდო. 41-ე სვლა კარპოვმა ჩაიწერა.

ლენინგრადი, 27 აპრილი. კარპოვმა ჩაიწერა 41-ე სვლა — ♕g3—e3. დღეს, საშინაო ანალიზის შემდეგ, ახალგაზრდა დიდოსტატი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თეთრებს მოგების შანსი არა აქვთ. მისი შეთავაზებული ყაიმი სპასკიმ მიიღო.

VIII პარტია 29 აპრილს შედგება.

ზიაგლე და პასუხისმგებლობა

საქართველოს ვაჟთა XXXV საჭადრაკო პირველობა. II ტური. ზ. ბურჭულაძე — გ. კალატოზიშვილი 0:1, ე. ფიფია — რ. ჯინჯიხაშვილი 1:0, ზ. აზმაიფარაშვილი (ხუთივე — თბილისი) — ა. ტუზოვსკი (სოხუმი) 0,5:0,5, თ. ლომაია — ე. გუფელდი (ორივე — თბილისი) 0:1, ჯ. ბერაძე (წყალტუბო) — მ. ჭიპაშვილი 1:0, ე. მიქაელიანი — კ. ჩიგოგიძე (სამივე — თბილისი) 1:0. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

2 ტურის შემდეგ ლიდერობენ: მიქაელიანი — 2 ქულა, გუფელდი და კალატოზიშვილი — 1,5-1,5.

— ლომაიამ გრიუნფელდის დაცვაში სრულიად მოულოდნელი, ახალი სვლა გამოიყენა და გუფელდი თითქმის ერთი საათით ჩაიფიქრა, — გვითხრა პირველობის მსაჯმა, უხუცესმა ოსტატმა ნ. სოროკინმა.

ლომაიამ უკეთესი პერსპექტივები ენდშპილშიც შეინარჩუნა. დიდოსტატის სუსტი პაიკები გამუდმებით დაცვას მოითხოვდნენ, მაგრამ ბრძოლა ლოგიკურად არ გაგრძელებულა: ლომაიამ უხვში შეცდომით ფიგურა დაკარგა და მყისვე დანებდა.

უბილავას და ჯინჯიხაშვილის შეხვედრა უშეღავათოდ წარიმართა. უბილავა დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ პარტიას. დღეს ჯინჯიხაშვილი ერთ-ერთი უძლიერესი საბჭოთა ოსტატია და მასთან თამაში ყველასთვის საინტერესოა.

უფიმცევის დაცვაში ჯინჯიხაშვილმა ცენტრალური პაიკი შესწირა, მაგრამ სახურველი პოზიცია მაინც ვერ მიიღო. მას შეეძლო პაიკი უკან დაებრუნებინა, მაგრამ ბლოკირება ამჯობინა. უბილავამ ღაზიერები რომ გაცვალა, მეტოქის მე-7 ჰორიზონტალზე შეიჭრა. ჯინჯიხაშვილის მეფის პოზიციაზე აშკარა შამათის მუქარა შეიქმნა. ეტლის მოხდენილი შეწირვით უბილავამ დააჩქარა შავი მეფის კაპიტულაცია.

ძველინდურ დაცვაში ბერაძემ მთავარი ბრძოლა ლაზიერის ფრთაზე გაიჩაღა. მან პაიკები გაცვალა, მერე ეტლები და საკონტროლო უჯრები მუბუქი ფიგურებით დაიპყრო. ჭიპაშვილმა მეფის ფრთაზე აქტიური თამაშით ინიციატივის ხელში ჩაგდება სცადა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. მისი მეფე განსაცდელში აღმოჩნდა. ამაო იყო ხარისხის დათმობაც. ბერაძემ თამაშის სადავეები შეინარჩუნა და 45-ე სვლაზე გაიმარჯვა.

I-II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები (ჯინჯიხაშვილისა და გუფელდის გარდა) მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის 42-ე ჩემპიონატის მასობრივ შესარჩევ ტურნირში (ივნისი, დაუგავპილსი).

* * *

საქართველოს ქალთა XXXI პირველობა ჭადრაკში. II ტური. ნ. გურიელი — ლ. ბელოზიოროვა 1:0, ვ. კუპრაშვილი — მ. წერეთელი 0:1, თ. ხუგაშვილი — მ. მამისთვალოვა 1:0, ნ. მანველოვა (ყველა — თბილისი) — ნ. ჯანჭლავა (ცხაკაია) 0:1, ე. აპრესოვა (გორი) — მ. ვაჩეიშვილი (თბილისი) 0:1. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

2 ტურის შემდეგ ნ. იოსელიანს, ც. კახაბრიშვილს (ორივე — თბილისი), წერეთელს თითო ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, გურიელს — 1 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია.

ყურადღების ცენტრში იყო პირველობის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა: ა. ჩაიკოვსკაია — კახაბრიშვილი. ხუთსაათიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო რთულ მდგომარეობაში.

წარმატებით აიღო სტარტი 13 წლის გურიელმა, რომელმაც კომბინაციური იერიშით მოუგო ბელოზიოროვას.

თ. ნინოშვილი.

✓ მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით

ამას წინათ გაიმართა პროფესიონალ ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული ორი ტურნირი.

ტოკიოში ჩატარებულ შეჯიბრებაში ყველას აჯობა სახელგანთქმულმა ავსტრალიელმა სპორტსმენმა როდ ლეივერმა. ფინალში მან ესპანელ ხუან გისბერტს სძლია — 5:7, 6:2, 6:0 (გისბერტმა და ლეივერმა წყვილთა თანრიგში ასპარეზობა მოიგეს). ეს ლეივერის მესამე გამარჯვებაა ერთეულთა შორის წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ტურნირებში.

სენსაციური შედეგით დამთავრდა მონტე-კარლოში გამართული შეჯიბრება: ცნობილმა რუმინელმა ჩოგბურთელმა ილიე ნასტასემ ფინალური მატჩი წააგო როდეზიელ ენდრიუ პატისონთან — 7:5, 3:6, 4:6.

(საკ. ინფ.).

გოლფისა და თაღლითობის ბინდვრები

ამ დღეებში ტოკიოს პოლიციამ დააპატიმრა ოთხჯერ ნასამართლევი, 51 წლის მ. ოკი, მემარჯვენე ორგანიზაცია „კოვაკაის“ მეთაური და ფირმა „ფუდოკოგიოს“ პრეზიდენტი. მასთან ერთად დააკავეს ბანდიტური ჯგუფის ყოფილი მეთაური, 45 წლის ს. უედა, რომელიც თორმეტჯერაა ნასამართლევი, ამჟამად კი... უძრავი ქონების კომპანია „აოისიფუდოსანის“ დირექტორთა საბჭოს წევრია. მათ ბრალი ედებათ თაღლითობაში, რომლის შედეგადაც მოპარული აღმოჩნდა ფირმა „ოტონე კაიხაცუკოგიოს“ კუთვნილი 37 მილიონი იენი. რასაკვირველია, ამ ამბავში განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ საქმე ისაა, რომ გამოიკვეთა ზოგიერთი საინტერესო წვრილმანი. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ კომპანია „ოტონე“ გუმის პრეფექტურაში ყიდულობდა მიწებს, რომლებიც განკუთვნილი იყო გოლფის მინდვრებისთვის.

ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, რომ „დაზარალებულნი“ არც თვითონ უნდა იყვნენ მთლად წმინდანები. როგორც ჩანს, შემთხვევითი არ არის, რომ მათ გოლფის წყალობით ხელის მოსათბობად ცნობილი თაღლითების დახმარება გამოიყენეს. ასე იქცა სპორტი მოგებისა და ბნელი მაქინაციების წყაროდ.

როგორც საკადესის კორესპონდენტს გოლფის ადგილობრივ ასოციაციაში უთხრეს, იაპონიაში 800 მინდორია ამ თამაშისთვის გამოყოფილი, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ სპორტის ეს სახეობა დიდი პოპულარობით სარგებლობს. იგი, უბრალოდ, მიუწვდომელია ფართო მასებისთვის. გოლფი მდიდარი ხალხის გასართობია, იმ ხალხისა, ვისაც დროცა აქვს და, რაც მთავარია, ფულიც. თამაში მარტო ერთ ბილიკზე (გოლფის მინდორზე კი რამდენიმე ბილიკია. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან სიგრძით, ადგილმდებარეობის სირთულით) დღეში საშუალოდ 15 ათასი იენი ღირს. ეს მეტია, ვიდრე ინჟინრის ერთი თვის ხელფასის მეათედი. ძალიან ძვირია მოთამაშის აღჭურვილობა, განსაკუთრებით სხვადასხვაგვარი ყვანჯები, რის შესაძენადაც მუშის რამდენიმე თვის ხელფასიც არ კმარა.

ტოკიოს და სხვა ქალაქების უნივერმაღების სპორტული განყოფილებები დიდი მონდომებით უწევენ რეკლამას გოლფის აღჭურვილობას. „მარტო ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ გოლფის მაღალხარისხოვანი ყვანჯები, — აცხადებს ცალ-ცალკე ყველა უნივერმაღი, — ყველაზე მოდური ხელთათმანები, ქუდები, გეტრები, ფეხსაცმელები“. ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან, ტელევიზორების ეკრანებიდან ყოველისშემძლე რეკლამა ხალხს არწმუნებს: აუცილებლად ითამაშეთ გოლფი, რადგან იგი „ძალიან მოდური“ თამაშაია. ასე იქმნება საგოლფო ბუმი, რომელიც სავაჭრო ფირმებს დიდ მოგებას აძლევს.

ამ ბოლო ხანს „მოდაში შემოვიდა“ გოლფში შეხვედრების ორგანიზაცია „მიწვევით“. ასეთი შეხვედრების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი რომელიმე სავაჭრო ფირმა თავისი ხარჯით „პარტიაზე“ იწვევს სხვა ფირმის წარმომადგენლებს. ბევრი საქმიანი გარიგება სწორედ თამაშის დროს ხდება.

თავისთავად გოლფი მართლაც არ არის ცუდი. ცუდია ის, რომ საქმისნებმა იგი მოგების წყაროდ აქციეს.

განსაკუთრებით ხერხში არიან მიწის ნაკვეთების გადამყიდველნი. მაგალითად, მარტო ტოკიოს ირგვლივ მდებარე სამ პრეფექტურაში გაიყიდა მიწის ნაკვეთები, რომელთა საერთო ფართობი 19500 ჰექტარი იყო. აქედან 17 ათასი ჰექტარი გოლფისთვისაა გამოყოფილი. ქალაქს კი ფართობი არ ჰყოფნის საცხოვრებელი სახლების ასაგებად. ეს დღეს საერთოდ მწვავე პრობლემაა იაპონიაში.

მ. დემჩენკო.

(საკადესის კორ.).

ტოკიო.

საკადესი მოგვითხრობს

როგორ დახვრიტეს გუნდი...

ოქტომბერ მაკკროის სიკვდილს ბელფასტში განსაკუთრებული მღელვარება არ გამოუწვევია—ეს შემთხვევა სისხლიანი ამბების მთელი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი იყო. აღარც ის გახსენებია ვინმეს, რომ ეს 19 წლის ჭაბუკი ფეხბურთელთა გუნდ „ბენკმორ სტარში“ თამაშობდა.

მკვლელობა ასე მოხდა: დარეკეს, პატრიკმა კარი გააღო... მეზობლებმა გაიგონეს სროლის ხმა, მაგრამ საღამოს ბინდში ქუჩაში გასვლა ვერავინ გაბედა.

ოთხი თვის შემდეგ მოკლეს დევიდ პუტსი. იგი განთიადისას იპოვეს. მკვლელობა მოხდა სწორედ იმ დღეს, როცა ბელფასტში ბევრად მეტი ხალხი იხოცება, ვიდრე „ჩვეულებრივ“ და ბევრად უფრო ხშირად სკდება ბომბები — 12 იანვარს, მეფე ჯეიმს მეორესთან უილიამ ორანელის გამარჯვების ზეიმის დღეს.

პუტსიც „ბენკმორ სტარში“ თამაშობდა, მაგრამ არც ამ გარემოებისთვის მიუქცევია ვინმეს ყურადღება.

მერე დამარხეს სემუელ ბოიდი, პროტესტანტი, რომელმაც ბოლოს კათოლიკობა მიიღო. იგი 548-ე მსხვერპლი იყო ექსტრემისტებისა (1969 წლის აგვისტოდან 1972 წლის სექტემბრამდე). სემუელიც „ბენკმორ სტარში“ თამაშობდა. ბოიდის სიკვდილის შემდეგ რამდენიმე მის თანაგუნდელს ეეჭვი შეეპარა, მგონი ჩვენზე ნადირობენო. „ბენკმორი“ დაიშალა. ეგ კი არა, ბიჭები უკვე ერიდებოდნენ იმაზე ლაპარაკს, რომ ერთ დროს „ბენკმორში“ თამაშობდნენ ფეხბურთს. არადა, ეს გუნდი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ბელფასტის სამოყვარულო ლიგაში.

1973 წლის გაზაფხულზე მოკლეს რობერტ მილენი, პროტესტანტი, რომელიც ასევე „ბენკმორში“ თამაშობდა. მის ბინაში ნახეს ანონიმური წერილი: „როგორც იქნა, გიპოვე. ყურადღებით უყურე სახეში ყველას, ვინც მოგიახლოვდება, დაიკვირდი ყოველ მანქანას, რომელიც პირდაპირ შენსკენ წამოვა. მე მინდა დავინახო შენი სახე სიკვდილის წუთებში“. მილენი მოკლეს დღისით. ეს როლეს მანქანიდან, რომელიც პირდაპირ მისკენ მიდიოდა. წერილში ჩამოთვლილი იყვნენ „ბენკმორ სტარის“ სხვა მოთამაშეებიც, რომლებსაც უცნობმა ჯალათებმა სიკვდილი მიუსაჯეს. მილენის მოკვლის შემდეგ თავს დაესხნენ ახლა უკვე ყოფილი გუნდის კიდევ რამდენიმე მოთამაშეს.

ბოლოს და ბოლოს, დაიწყო „ბენკმორ სტარის“ საქმის გამოძიება. გამოირკვა, რომ ამ კლუბში არავინ აქცევდა ყურადღებას, რომელ ეკლესიას ეკუთვნოდა მოთამაშე. მინდორზე ერთად გამოდიოდნენ პროტესტანტები და კათოლიკები, ერთად იყოფდნენ გამარჯვების სიხარულსა და მარცხის სიმწარეს. არა გვგონია, ბიჭებს რაიმე განსაკუთრებული აზრი მიენიჭებინოთ იმისთვის, რომ გუნდი „შერეული“ იყო. უბრალოდ, ისინი თავიანთ საყვარელ ფეხბურთს თამაშობდნენ. მაგრამ ასეთი გუნდის არსებობაც კი ექსტრემისტ-პროტესტანტებისთვის გამოწვევას ნიშნავდა. მკვლელებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის ესროდნენ — თავისი რწმენის ხალხს თუ „ერეტიკოსებს“. ხოცავდნენ იმათ, ვისაც სურდა ტერორისა და ძალადობის სამყაროში ადამიანად დარჩენილიყო.

ვ. კუკუშკინი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



ძალოსნობა. ცირკის შენობა. **28 აპრილი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. ზემძიმე წონა.** მონაწილეობენ მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ლ. ჟაბოტინსკი და ვ. ალექსეევი, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ს. ბატიშჩევი და სხვ. დასაწყისი 12 ს.

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, რესპუბლიკისა და ქალაქის ფეხბურთის ფედერაციები, ვეტერანი ფეხბურთელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული ტრენერი ანდრო დიმიტრის ძე ჟორდანია.

ПНДРС 06448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

УЦ 07525